საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

**შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება "ლეგომეტალ"-ის
დირექტორი**

ფრიდონ კომახიძეს

ტელ: 599 97-77-11; 577 05-05-40
ელ.ფოსტა:legometal@gmail.com

განცხადება

აღნიშნულ საწარმოს, გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი, ს/კ: 81.10.38.050, გააჩნია ალუმინის ჯართისაგან ალუმინის სხმულების წარმოების ქარხანა, რომელსაც შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, საწარმოს წარმადობა ტოლია 7200 ტონა ალუმინის ჯართისაგან 6497 ტ/წელ ალუმინის სხვადასხვა მარკის სხმულების წარმოება.

ექსპლოატაციის პირობების შეცვლის შემდეგ საწარმოში მოხვდება შემდეგი ცვლილებები, კერძოდ:

საწარმოში არსებული ძირითად ღუმელს დაემატება ერთი ცალი მბრუნავი (როტორული) ღუმელი, რომლის მუშაობისას წარმოქმნილი აირმტვერნარევი შეერთებული იქნება უკვე არსებულ ძირითადი სადნობი ღუმელის გამწმენდ სისტემაზე.

ასევე, საწარმოში არსებული ძირითადბ ღუმელში ალუმინის ჯართის დნობისას წარმოქმნილი წიდის გადამუშავებისათვის არსებული დანადგარები (ბურთულებიან წისქვილ; დაფქვილი წიდის საცერი მასში არსებული რკინის ლითონების გამოსაყოფად) და ტიგელის ღუმელები ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ არ იფუნქციონირებენ, რადგან წიდის პირდაპირ ხელმეორედ გამოდნობა განხორციელდება მბრუნავ (როტორულ) ღუმელში.

აღნიშნული ტერიტორია, რომელიც დახურული, გამოყენებული იქნება წიდის დასაწყობებისათვის.

მბრუნავ (როტორულ) ღუმელში ექსპლოატაციის პირობების შეცვლის შემდეგ მონაცვლეობით რეჟიმში მოხდება როგორც ალუმინის ჯართი, წიდისს, ასევე სპილენძისა და თუუთიის ჯართის გამოდნობა და შესაბამისად მიიღება ალუმინის, სპილენძის და თუუთიის სხმულები.

მბრუნავ (როტორულ) ღუმელის წლიური სამუშაო დროის მესამედში. 2920 საათში იმუშავებს ალუმინის სხმულების წარმოებაზე, ასევე 2920 საათი სპილენძის სხმულების წარმოებაზე და 2920 საათი თუთიისი სხმულების წარმოებაზე.

№ 22986
"16" 12 2021
2/CD
1 ნაბეჭდი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილი თანახმად (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა).

ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მე-4.3 პუნქტის თანახმად, ფერადი ლითონის (გარდა ძვირფასი ლითონისა) დნობა წელიწადში 20 ტონა ან მეტი წარმადობით ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას.

ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

ყოველივე აქედან გამომდინარე დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავდა სკოპინგის ანგარიში.

წერილს თან ერთვის:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლეგომეტალ"-ის **ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის** სკოპინგის ანგარიში და ელექტრული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის shp ფაილები.

პატივისცემით
ფრიდონ კომახიძე
დირექტორი

LEGOMETAL LTD GEORGIA
LEGOMETAL
400290608